

ქმედუნარიანობა და გადაწყვეტილების მიღებაში მხარდაჭერა

მარტივად წასაკითხი ფორმატი



**ქმედუნარიანობა და გადანაცვების
მიღებაში მხარდაჭერა**

მარტივად წასაკითხი ფორმატი

2020 წელი

დოკუმენტი შემუშავებულია ორგანიზაციების - „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“ და „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ - და ექსპერტების - ლია ტაბატაძისა და ოლღა კალინას - მიერ.

დოკუმენტი მომზადდა პროექტის - „ქმედუნარიანობის ინსტიტუტის განხორციელების ხელშეწყობა საქართველოში“ - ფარგლებში. პროექტი მხარდაჭერილია „ღია საზოგადოების ფონდების“ (OSF) მიერ და მას ახორციელებენ ორგანიზაციები - „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“ (EMC), „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ (PHR), „საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია“ (GASW) და „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში - თბილისი“ (GIP – Tbilisi).

დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები გამოხატავს ავტორის პოზიციას და შესაძლოა, არ ასახავდეს „ღია საზოგადოების ფონდების“ (OSF) შეხედულებებს.

რედაქტორი: ნინო ბეჭიშვილი

დაკაბადონება: თორნიკე ლორთქიფანიძე

ილუსტრაციები და გარეკანი: თათია ნადარეიშვილი

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ორგანიზაციის წერილობითი ნებართვის გარეშე.

© ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)

მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო

ტელ: +995 032 2 23 37 06

www.emc.org.ge

info@emc.org.ge

<https://www.facebook.com/EMCRIGHTS/>

შესავალი

ამ დოკუმენტიდან უფრო მეტს გაიგებთ თქვენი უფლებების შესახებ. განსაკუთრებით იმაზე, თუ რას ნიშნავს კანონის წინაშე თანასწორობა, ქმედუნარიანობა და გადანყვეტილების მიღებაში მხარდაჭერა.



როგორი კანონი ისავს შპმ პირთა უფლებებს?



გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ისეთი ადგილია, სადაც იკრიბება მსოფლიოს ყველა ქვეყნის წარმომადგენელი. ისინი საუბრობენ იმაზე, როგორ უნდა აქციონ მსოფლიო კარგ და უსაფრთხო ადგილად ყველასთვის.



ბევრმა ქვეყანამ ხელი მოაწერა გაერთიანებული ერების **კონვენციას შებლუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ.**



ეს არის შეთანხმება, რომელშიც ნათქვამია, რომ შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ისეთივე მხარდაჭერა და მოპყრობა უნდა ჰქონდეთ, როგორც ყველას.

ყველა თანასწორი უნდა იყოს კანონის წინაშე

მე-12 მუხლი




თანასწორობა კანონის წინაშე ძალიან მნიშვნელოვანია. ეს უფლება აღწერილია კონვენციის მე-12 მუხლში.



ჩვენი ქვეყნის კანონი ეთანხმება **კონვენციას**. საქართველოს კანონი ამბობს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს შეუძლია აირჩიოს, რა სურს და განახორციელოს თავისი სურვილები. მაგალითად, სხვა ადამიანების მსგავსად იცხოვროს, ვისთან ერთადაც სურს, მიიღოს განათლება და დასაქმდეს.



კანონი ყველასთვის ერთნაირია, მაგრამ ზოგჯერ უშუალოდ არ აძლევენ დამოუკიდებლად ცხოვრების, განათლების მიღების ან დასაქმების შესაძლებლობას.



დისკრიმინაციაა, როდესაც ადამიანს, სხვების მსგავსად არ შეუძლია განახორციელოს თავისი უფლებები. მაგალითად, მიიღოს განათლება, დასაქმდეს ან დამოუკიდებლად ცხოვრობდეს იმიტომ, რომ შებღუდული შესაძლებლობის მქონე პირია.



კანონი ამბობს, რომ დისკრიმინაცია აკრძალულია.


ქმედუნარიანობა



ქმედუნარიანობა ნიშნავს, რომ თქვენ გაქვთ უფლებები და მათი გამოყენება შეგიძლიათ.



ქმედუნარიანობა ნიშნავს, რომ თქვენ გაქვთ უფლება, მიიღოთ გადაწყვეტილებები თქვენი ცხოვრების შესახებ. მაგალითად, გაქვთ უფლება, აირჩიოთ ის, რაც მოგწონთ და უარი თქვათ იმაზე, რაც არ მოგწონთ, გამოხატოთ ეს სურვილები და განახორციელოთ რეალურ ცხოვრებაში.




არავის არ შეუძლია თქვენთვის უფლებების წართმევა დიაგნოზის ან შეზღუდული შესაძლებლობის გამო. თუ ფიქრობთ, რომ თქვენი უფლებები ირღვევა, შეგიძლიათ მიმართოთ რომელიმე ორგანიზაციას, რომელიც მითითებულია ბოლო გვერდზე.

თუ ხართ 18 წლის ან უფროსი, უფლება გაქვთ:



- ▶ მართლთ საკუთარი ქონება და მიიღოთ მემკვიდრეობა;




- ▶ დაქორწინდეთ და გყავდეთ ოჯახი;



- ▶ დათანხმდეთ ან არ დათანხმდეთ მკურნალობას ან მოვლაზე;



- ▶ იცხოვროთ დამოუკიდებლად;



- ▶ მისცეთ არჩევნებში ხმა;



- ▶ დაგეგმეთ მომავალი. ეს მოიცავს:
 - ანდერძის დაწერას თქვენი ქონების შესახებ
 - წინასწარ დაგეგმვას, თუ როგორი მკურნალობა ან მოვლა გსურთ, თუ ძალიან ავად გახდებით.

მხარდაჭერა

ზოგჯერ შშმ პირებს ესაჭიროებათ უფრო მეტი მხარდაჭერა, რომ ისარგებლონ საკუთარი უფლებებით და სხვების თანასწორად იცხოვრონ, დასაქმდნენ, მიიღონ განათლება და ჯანდაცვის მომსახურებები.

თუ გიჭირთ გადანყვეტილებების მიღება, გაქვთ უფლება, მიიღოთ თქვენთვის საჭირო მხარდაჭერა. თქვენ შეგიძლიათ მიიღოთ მხარდაჭერა:



- ▶ ოჯახისგან;
- ▶ მეგობრებისგან, რომლებსაც ენდობით;
- ▶ სოციალური მუშაკებისგან.



მათ შეუძლიათ:

- ▶ დაგეხმარონ სხვებთან ურთიერთობაში;



- ▶ გაგაგებინონ რა მოხდება, თუ გადანყვეტილებას მიიღებთ;



- ▶ დაგეხმარონ გადანყვეტილების მიღებაში.

ეს დახმარება ან მხარდაჭერა უნდა იყოს ისეთი, რომ:

- ▶ მხარდამჭერი ფიქრობდეს იმაზე, თუ რა მოგწონთ და რა არ მოგწონთ და რა არის თქვენთვის მნიშვნელოვანი;
- ▶ მხარდამჭერი საუბრობდეს თქვენთვის გასაგებად. თქვენ შეგიძლიათ, სთხოვოთ მხარდამჭერს, რომ უფრო გასაგები ფორმით მოგაწოდოთ ინფორმაცია;
- ▶ მხარდამჭერმა არ გაიძულოთ გადაწყვეტილების მიღება და არ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება თვითონ.






მხარდამჭერი გენიშნებათ სასამართლოს მიერ. თქვენ შეგიძლიათ, თვითონ მიმართოთ სასამართლოს მხარდაჭერის დანიშვნის მოთხოვნით. მოსამართლე იღებს გადაწყვეტილებას, თუ რა საკითხებში გჭირდებათ მხარდაჭერა. მაგალითად, შეიძლება საჭირო იყოს თქვენი მხარდაჭერა მკურნალობაზე გადაწყვეტილების მიღების დროს, ან ფულის ხარჯვის დროს.



თქვენ გაქვთ უფლება, გაასაჩივროთ, თუ არ ეთანხმებით სასამართლოს გადაწყვეტილებას.



მხარდამჭერი შეიძლება იყოს თქვენი ნათესავი ან სხვა პირი. თუ არავის შეუძლია, თქვენი მხარდამჭერი გახდეს, სახელმწიფო დაგეხმარებათ მხარდამჭერის დანიშვნაში. თუ სათემო ორგანიზაციაში, პანსიონატში ან ფსიქიატრიულ დაწესებულებაში იმყოფებით, შეიძლება დაგენიშნოთ ამ დაწესებულების რომელიმე წარმომადგენელი ან წარმომადგენლები.



ზოგჯერ მხარდამჭერმა არ იცის, როგორ უნდა მოიქცეს სწორად და როგორ უნდა დაგეხმაროთ გადანყვეტილებების მიღების დროს. **კონვენცია** ამბობს, რომ ამ დროს სახელმწიფომ უნდა ასწავლოს ადამიანებს, ხელი შეუწყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, მიიღონ საკუთარი გადანყვეტილებები. ჯერჯერობით ასეთი სწავლება არ ჩატარებულა.



თუ თვლით, რომ თქვენი მხარდამჭერი არ ასრულებს თავის მოვალეობებს, ან თუ გსურთ მხარდამჭერის შეცვლა ან მოხსნა, დაუკავშირდით რომელიმე **ორგანიზაციას**, რომელიც მითითებულია **ბოლო გვერდზე**.

დაიცავით თქვენი უფლებები!



თუ თვლით, რომ თქვენი უფლებები ირღვევა, დაურეკეთ

- ▶ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს

ცხელი ხაზი: 1505

- ▶ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს

ტელ: 2 39 53 11

- ▶ სახალხო დამცველს

ცხელი ხაზი: 1481

- ▶ ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრს

ტელ: 2 33 37 06

- ▶ პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის

ტელ: 2 33 13 56

- ▶ ფსიქიატრიის სერვისმომხმარებელთა და გადარჩენილთა საქართველოს ქსელს

ტელ: 558 72 36 76